№16 / 2009წ /

ყოველთვიური ჩანართი

მთავრობის შეხვედრა საზოგადოებასთან

წინ გადადგმული ნაბიჯი თუ მორიგი ფორმალობა?

28 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საზოგადოებას შეხვდა. შეხვედრაზე აჭარის ა/რ სამინისტროებმა საზოგადოებას 2009-2011 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმები წარუდგინეს. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ლევან ვარშალომიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე, აჭარის მინისტრთა კაბინეტი, სამოქალაქოს საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების საკრებულოსების თავმჯდომარეები, გამგებლები და მოსახლეობა.

ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, უმაღლესი საბჭო, მინისტრები, სამინისტროების წამყვანი დეპარტამენტების ხელმძღვანელები დიალოგისათვის შეხვდნენ საზოგადოების წარმომადგენლებს.

შეხვედრის საფუძველი იყო იმ სტრატეგიული გეგმების განხილვა, რომლებიც USAID—ს „საჯარო დანესებულებების რეფორმირების პროგრამის“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა და დეპარტამენტებმა შემოუშავეს.

შეხვედრა კარგად იყო ორგანიზებული. შეხვედრაზე წარმოდგენილი გახლდათ ყველა მხარე, რომელიც დაინტერესებულია სამინისტროების სტრატეგიული გეგმით (მედია, არასამთავრობო სექტორი, უნივერსიტეტი, ბიზნეს სექტორი, სტუდენტები და ა.შ.). ამავე დროს დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა უშუალოდ სამინისტროების ხელმძღვანელებისაგან და თავად მთავრობის თავმჯდომარისაგან მოესმინა ინფორმაცია მათი გეგმების შესახებ, დაესვა კითხვები და მიეღოთ პასუხები კითხვებზე, რომლიც საზოგადოებას გაუჩნდა. შეხვედრას ჰყავდა მედიატორები, რომლებიც უფრო მოქნილს და ეფექტურ ხდიდა შეხვედრას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ლევან ვარშალომიძე: „ეს არის პირველი პრეცედენტი, სადაც მთლიანად სამინისტროები წარსდგა სტრატეგიული გეგმით საზოგადოების წინაშე. გეგმა ისახავს თუ როგორი იქნება აჭარა 2012 წელს, თავისი სექტორების და სამინისტროების მიხედვით, რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნება, რამდენი საწარმო განვითარდება და კონკრეტულად საით მიდის თითოეული სამინისტრო. აი ეს არის მიზანი და ერთიანობაში მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი იყოს ჩართული, მათი რეკომენდაციების და კონსულტაციების საფუძველზე მოხდეს ერთობლივი პროდუქტის შექმნა, რომელიც ყველასათვის იქნება სამაგიდო წიგნი. ჩვენ ამით ვქმნით სისტემას, რომელიც პიროვნებებზე კი არ იქნება მორგებული, არამედ იმუშავებს იმისათვის, რომ რეგიონი იყოს ძლიერი.“

შეხვედრას დადებითად აფასებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე, ლევან გობაძე: „თუ უახლოეს წარსულს გადავავლებთ თვალს, ეს ყო პირველი საჯარო ღონისძიება, რომელიც დაიგეგმა და მოეწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ და რომელშიც ყველა სახელისუფლებო სტრუქტურა მონაწილეობდა. თავად ფაქტი, რომ ერთი ნაბიჯი გადაიდგა დიალოგისათვის - მისასალმებელია. ჩვენ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს სახელისუფლებო სტრუქტურებთან თანამშრომლობის არა ერთი მცდელობა გვქონდა, მთავრობის თავმჯდომარესთან ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ თანამშრომლობის შესახებ მეორანდუმიც შევიმუშავეთ, მაგრამ ჩვენს წინადადებებს არც ერთხელ გამოხმაურება არ მოჰყოლია. ვფიქრობ, რომ ამ ღონისძიების შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება. სანყენია, რომ საკუთარ მთავრობას საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის შუამავალი ესაჭიროება, თუნდაც USAID-ს სახით, მაგრამ ასეთი სახის დიალოგები ქვეყნისთვის უფრო მეტი სიკეთის მომტანია, ვიდრე დაპირისპირება. მთავარია ეს შეხვედრა არ დარჩეს მორიგ ფორმალურ შეხვედრად, ვიღაცისთვის ქულების და კარგი ანგარიშის დაწერის საფუძვლად და მან რეალურ, სამუშაო შეხვედრების ფორმატში გააგრძელოს არსებობა.

რაც შეეხება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებულ მემორანდუმს, თავიდან უკმაყოფილო ვიყავი მემორანდუმის ხელმოწერის შემდგომი პერიოდით. მემორანდუმში დაფიქსირებულმა თანამშრომლობის სურვილმა ვერ ჰპოვა პრაქტიკული რეალიზაცია. მოუხედავად იმისა, რომ ცალკეული ორგანიზაციების მიერ თანამშრომლობის მცდელობები იყო, ვერ მოხერხდა მთლიანად მემორანდუმის ხელმომწერ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფთან სამუშაო შეხვედრების გამართვა და თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრება.

რაც შეეხება შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმებს, რომლებიც ამ საჯარო შეხვედრაზე იყო წარმოდგენილი, მინდა გამოვყო ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, რომელიც ყველაზე დახვეწილი იყო. შეიძლება ეს სუბიექტური აზრი და გამომდინარეობს იქედან, რომ ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობს. საკმაოდ კარგი პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც, შედარებით სუსტი იყო განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული გეგმა, მაგრამ ძირითადში ეს არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი. სტრატეგიული გეგმების დახვეწა უკვე ჩვეულებრივი მუშა პროცესია, რომლის დროსაც ძირითადი სტრატეგიული ხაზის შეუცვლელად შეიძლება მისი ცალკეული კომპონენტების დახვეწა. რა შედეგებს მივიღებთ, ამას დრო გვიჩვენებს. მინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნო, რომ მთავარია პროცესი, რომელიც დაინყო უნივერსიტეტში სამინისტროების სტრატეგიული გეგმების პრეზენტაციით, არ დარჩეს ერთჯერად ღონისძიებად და თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდეს. ასეთ თანამშრომლობას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა ეს არის პოლიტიკური ნება ხელისუფლების მხრიდან. უნდა ვიფარაუდოთ, რომ რადგანაც თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმდა და პირველი საჯარო განხილვები შედგა - ეს პოლიტიკური ნება არსებობს. მეორე ფაქტორი არის იმ კონკრეტული საკითხების და სფეროების განსაზღვრა, რომლებზეც შეგვიძლია მესამე სექტორის წარმომადგენლებმა ვიმუშაოთ სახელმწიფო უწყებებთან. აქვე დგება საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციების სპეციალიზაციისა და კომპეტენციისა იმ საკითხებში, რა საკითხებზეც იგეგმება თანამშრომლობა.

უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე მოწვეული არ იყვნენ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები. აქ იყვნენ წარმოდგენილი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა - ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, პედაგოგები, ლექტორ-მასწავლებლები, სტუდენტები და დაინტერესებული საზოგადება. რადგან ეს ადამიანები ასეთი პიტის შეხვედრაზე მოვიდნენ ნიშნავს, რომ მოქალაქეების მხრიდან ინტერესი ასეთი შეხვედრების მიმართ არსებობს. საზოგადებას სურს იყოს ინფორმირებული. დასვას კითხვები და მიიღოს ამომწურავი პასუხები მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი ცუდად კეთდება, ბევრი რამ კარგიც კეთდება, მაგრამ არის მომენტი საზოგადოების არაინფორმირებულობისა. მთავრობამ უნდა განმარტოს ამა თუ იმ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები, რადგანაც ხშირ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილებები ჩვენთვის გაუგებარია. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, სხვადასხვა მსხვილი პროექტების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს ფართო საჯარო განხილვებს, რადგანაც ეს გადაწყვეტილებები ცვლიან გარემოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. შესაბამისად, ასეთ განხილვებში საზოგადოების მონაწილეობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის წარმომადგენელი ნათია აფხაზავა თვლის, რომ მისთვის თავად ფაქტი მისაღები იყო, მაგრამ შეხვედრა საკმაოდ ფორმალური, რომლის მიზეზადაც საზოგადოების პასიურობას და სახელმწიფოს მხირდან ზედაპირული დამოკიდებულებას ასახელებს. „რა იყო ამ შეხვედრის მიზანი? თუ მხოლოდ ის, რომ მომხდარიყო სამინისტროების და დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრა შედგა, მაგრამ უფრო დიდი შედეგისთვის უნდა მოხდეს დეტალური გაცნობა, სტრატეგიული გეგმების განხორციელების პროცესზე ყურადღების მიქცევა და დაინტერესების შემოხვევაში მონაწილეობის მიღებაც კი.

თუ წინასწარ არ იცნობდი სტრატეგიულ გეგმას, მარტო ამ ერთი შეხვედრით რთული იყო მისი სრულყოფილად გაცნობა, იმ ათწუთიანი პრეზენტაციამოხსენების დროს, რომელიც თითოეულ სამინისტროს ქონდა იმისათვის, რომ სტრატეგიული გეგმა წარედგინა დამსწრე საზოგადებისათვის. შემდგომში კითხვა-პასუხის რეჟიმში შესაძლებელი გახდა უფრო სიღრმისეულად გავცნობოდით მას. არასამთავრობო ორგანიზაციებს სამინისტროებმა სტრატეგიული გეგმები წინასწარ მოგვანოდეს და შეიძლება ითქვას შემუშავების პროცესშიც ვიყავით ჩართულნი, მაგრამ შეხვედრას ესწრებოდნენ პირები, რომლებიც პირველად ისმენდა და მათთვის რამდენად სრულყოფილად იქნა წარმოწენილი სტრატეგიული გეგმები ვერ გეტყვით. ვფიქრობ, ყურადღება უნდა გამმახვილებინათ სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზებზე და იმ პრობლემებზეც, რომელიც შეიძლება წარმოეშვათ განხორციელების პროცესში, ეს უფრო საინტერესოს და შედეგიანს გახდიდა შეხვედრას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, ამის თაობაზე შეიძლება კიდევ ვისაუბროთ.

მსგავსი სახის შეხვედრები აუცილებელია საზოგადოებისათვის, სწორედ ის პასიურობა, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი არის შედეგი იმისა, რომ იშვიათად ესაუბრება სახელმწიფო საზოგადოებას (ასეთი ფორმატით). სახელმწიფო ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და მათი საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და მიზანმიმართული, ზემოთ აღნიშნული ფორმატის შეხვედრები კი არის ერთ-ერთი საშუალება იმ ვაკუუმის აღმოსაფხვრელად, რომელიც საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებობს, უბრალოდ საჭიროა მეტი კონკრეტიკა და საკუთარი შესაძლებლობების და მიზნების თანხვედრა, ანუ შეხვედრა არ უნდა იყოს „ყველაფერი შეგვიძლია“ და ყველაფერს კარგად ვაკეთებთ“ რეჟიმში, უნდა იყოს ჯანსაღი დიალოგი: მიღწევებზე, პრობლემებზე და შეცდომებზე საუბარი, რომელიც არის დასაბამი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა.“

ნორმატიული აქტის პროექტი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების ინსტრუქცია“

დასაწყისი ჩანართის წინა ნომერში

2. საკრებულო, თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილავს პროგრამების პროექტებს, ისმენს გამგებლის, შესაბმისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების

მოხსენებებს პროგრამის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, აფასებს პროგრამის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების მიზანშეწონლობას.

3. საკრებულოს უბრალო უმრავლესობით შეუძლია მოითხოვოს წარმოდგენილ პროგრამის პროექტში ცვლილებების შეტანა. ასეთ შემთხვევაში საკრებულო გამგეობას განუსაზღვრავს ვადას ცვლილებების პროექტის წარმოსადგენად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ პროგრამაში ცვლილებების განხორციელება გამოიწვევს ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი პროგრამისათვის გათვალისწინებული ხარჯების შემცირებას ან გაზრდას, საკრებულო ცვლილებების საკითხს იხილავს ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

5. საკრებულო ამტკიცებს მიზნობრივ პროგრამებს შესაბამისი წლის ბიუჯეტთან ერთად ბიუჯეტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 8. პროგრამის განხორციელება

1. საკრებულოს მიერ დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობა თავისი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგნოების მეშვეობით.

2. პროგრამების დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში გამგებელი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს თითოეული პროგრამის განხორციელებაზე პასუხიმგებელ სტრუქტურულ ერთეულს და ნიშნავს პასუხისმგებელ თანამდებობის პირს. მიზნობრივი პროგრამის სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამების განხორციელება შეიძლება დაევალოს ერთ ან რამოდენიმე სტრუქტურულ ერთეულს ერთობლივად. ასეთ შემთხვევაში ერთი პროგრამის ფარგლებში რამოდენიმე სტრუქტურული ერთეულის კორდინირებულ საქმიანობას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

3. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი უშუალოდ ხელმძღვანელობს პროგრამის განხორციელებას, კორდინაციას უწევს პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების სათანადოდ შესრულებას, გამგებელს აწვდის ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, ამზადებს კვარტლურ ანგარიშებს. მას ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა პროგრამის შესრულებაზე.

4. პროგრამების განხორციელებას საერთო ხელმძღვანელობას უწევს გამგებელი, რომელიც პასუხისმგებელია ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების სათანადოდ განხორციელებაზე.

მუხლი 9. პროგრამების შესრულების ანგარიში

1. თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები გამგებელს წარუდგენენ პროგრამის შესრულების ყოველკვარტლურ ანგარიშს,რომელშიიაისახებაფაქტობრივადგანხორციელებული ღონისძიებები მათი მოცულობა, პროგრამის მიმდინარეობის შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრული დროის გრაფიკთან, ინფორმაცია არსებული შეფერხებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების, შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესახებ.

2. ყოველი პროგრამის დასრულების შემდეგ პასუხისმგებელი თანამდებობის პირები გამგებელს წარუდგენენ პროგრამის შესრულების საბოლოო ანგარიშს. ანგარიში უნდა მომზადდეს დანართი №2 ფორმით და მასში დეტალურად უნდა იქნას ასახული პროგრამის განხორციელებით მიღწეული კონკრეტული შედეგები, ასევე შედეგები რომლის მიღწევაც გათვალისწინებული იყო პროგრამით, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული, ფაქტობრივად განხორციელებული ღონისძიებები და ღონისძიებები რომლებიც არ განხორციელდა.

3. პროგრამის შესრულების ანგარიშებს გამგებელი დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს. საკრებულო სათითაოდ იხილავს და ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს თითოეული პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშს.

4. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ წარმოდგენილი პროგრამის შესრულების ანგარიშები არ ასახავს რეალურად დამდგარ შედეგებს, ან იკვეთება თანამდებობის პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების არასათანადოდ შესრულების ფაქტები, საეჭვო გარემოებების შესწავლის მიზნით საკრებულო უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომისია ან ასეთი გარემოებების შესწავლა დაავალოს შესაბამის მუდმივმოქმედ კომისიას. კომისია ამზადებს დასკვნას, რაც შეიძლება გახდეს შესაბამისი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი.

5. სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში კომისია საქმის მასალებს გადაუგზავნის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

6. თითოეული პროგრამის განხორციელების შესახებ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ანგარიში ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში. ანგარიშის პრესაში გამოგვეყნებას უზრუნველყოფს გამგებელი.

მთავრობის შეხვედრა საზოგადოებასთან

წინ გადადგმული ნაბიჯი თუ მორიგი ფორმალობა?

ნათია აფხაზავა

დასაწყისი პირველი გვერდიდან

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის თებერვლის ბოლოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულმა სამინისტროებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმებს. ყველა სამინისტროსთან გაფორმდა ინდივიდუალური მემორანდუმი, რომლებიც მესამე სექტორის წარმომადგენლებმა საკუთარი საქმიანობის სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩია.

პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ დიდი ხანია თანამშრომლობს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან. სწორედ ამ თანამშრომლობიდან გამომდინარე „ინტელექტმა“ ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს აღნიშნულ სამინისტროსთან მოაწერა.

მემორანდუმის მთავარი მიზანი გახლდათ ურთიერთანამშრომლობის ჩამოყალიბება სამინისტროსა და მესამე სექტორს შორის. ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ ორივე მხარემ აიღო ვალდებლება მიეღო და გაეცა რეკომენდაციები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე - ეკა ბახტაძე ამბობს, რომ 2009 წლის იანვარში სტრატეგიული გეგმის დამუშავების პროცესში ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მოაწყო ოთხი დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი მიზნობრივი ჯგუფები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დარგობრივი სამინისტროები, საქვეუწყებო დაწესებულებები, დეპარტამენტები, მთავრობის აპარატი;

2. არასამთავრობო ორგანიზაციები

3. ადგილობრივი ხელისუფლება/მუნიციპალიტეტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

4. ბიზნეს ორგანიზაციები და ინვესტორები

მისივე თქმით, 2009-2011 წლების სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესში ზემოთ აღნიშნულმა ჯგუფებმა სამინისტროს მიანოდა რიგი შენიშვნები და რეკომენდაციები. ზოგიერთმა მათგანმა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ჰპოვა ასახვა სტრატეგიულ გეგმაში.

„სტრატეგიულ გეგმაში გავითვალისწინეთ შემდეგი შენიშვნები და წინადადებები, და ამასთან ზოგიერთი მათგანი უკვე სრულდება: იხვენება საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა, დაგეგმილია რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შქმთ ანალიზის გაკეთება, დაგეგმილია საბიუჯეტო პროცესის დახვეწა და დეცენტრალიზაცია, გათვალისწინებულია ბიუჯეტის დაგეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები, მეწარმეებისა და ინვესტორების მხრიდან საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნა ასახულია საინვესტიციო პროექტების მართვის დეპარტამენტის აქტივობებში, იგეგმება საინფორმაციო ცენტრის გახსნა, სამინისტრო მუშაობს მცირე მეწარმეთა ბაზის შექმნაზე, სამინისტრო აქტიურად ითანამშრომლებს მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ სამსახურებთან ქონების ინვენტარიზაციის და რეგისტრაციის მიზნით — რაც შედეგად მოგვცემს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ჩართულობას პრივატიზაციის პროცესში. სტრატეგიული დაგეგმის გარე შეფასება შესაძლებელი გახდება დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ჩატარებით, რაც განერილია სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად.

სამინისტროს შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო სტრატეგიულ გეგმაში არ შევიდა სამინისტროებს შორის ელექტრონული ქსელის შექმნის, სერთიფიკატების, ნებართვების ელექტრონული ფორმით გაცემის საკითხი. სტრატეგიულ გეგმაში არ შეიდა ტელე-პროექტის მომზადების იდეაც, თუმცა აჭარის ტელევიზიამ ცოტა ხნის წინ დაიწყო ყოველკვირეული გადაცემა „დროის ვექტორის“ გაშვება, რომელშიც სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს.“

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge